გზამკვლევი კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპებისთვის

ეტაპები	ეტაპის საკვანძო შეკითხვები	გზამკვლევი აქტივობებისთვის
ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა	*რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი?* *რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?*	• შექმენით აქტივობა, რომლის საშუალებითაც შესასწავლ საკითხს წარუდგენთ/გააცნობთ მოსწავლეებს და მოტივაციას აღუძრავთ/ ყურადღებას გაუმახვილებთ მის შესწავლაზე • შექმენით დავალება, რომ მოსწავლეებმა უკვე შესრულებული აქტივობის ან/და კომპლექსური დავალების რომელიმე ერთი ქვეკომპონენტის მსგავსი აქტივობის შესრულების შედეგები წარმოადგინონ შესაფერისი ფორმით, შემოქმედებითი პროდუქტის სახით (შესაძლო პროდუქტების ჩამონათვალი იხ. ქვემოთ ცხრილი 1) • შექმენით მოკლე პრეზენტაცია, რომელშიც მოკლედ წარუდგენთ კომპლექსურ დავალებას შეფასების კრიტერიუმებთან ერთად და აღწერთ გამოწვევებს მის შესრულებასთან დაკავშირებით (მაგალითად, ახალი ცოდნის აგების/დაუფლების საჭიროება დავალების შესასრულებლად) • მოამზადეთ მინი-ლექცია, რომელშიც მოსწავლეებს დაანახებთ კავშირს ახალ ცოდნასა და მათ ცხოვრებას შორის და სარგებელს, რომელსაც მიიღებენ ახალი ცოდნის აგებით/დაუფლებით ან/და კომპლექსური შემაჯამებელი დავალების შესრულებით • დაგეგმეთ შესაფერისი აქტივობა, რომლის საშუალებითაც მოახდენთ სწავლისა და ათვისების შემოწმებას (ანუ შეამოწმებთ, გაიაზრეს და გაიგეს თუ არა შესრულებეული დავალებები და მიწოდებული ინფორმაცია). გაიაზრეთ მოსწავლეთა შესაძლო ტიპური შეცდომები, მოამზადეთ „ხარაჩოები“ და უკუკავშირის მონახაზი
ეტაპი II. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო საკითხების გახსენება	*რომელი ადრე შესწავლილი საკითხი/საკითხები გამომადგება კომპლექსური დავალების შესრულებაში?*	• შექმენით აქტივობა, რომელიც შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გახსენების/მიმოხილვისა და გააქტიურების საშუალებას მისცემს მოსწავლეებს • მიზანშეწონილია ისეთი დავალების დაგეგმვაც, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ინტუირად გადადგან მცირე ნაბიჯები

		წინარე ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის აგებისკენ, მასწავლებლის ფასილიტაციის საშუალებით „ხიდი გადონ“ ახალი ცოდნისკენ • დაგეგმეთ შესაფერისი აქტივობა, რომლის საშუალებითაც მოახდენთ სწავლისა და ათვისების შემოწმებას (გაარკვევთ მოსწავლეთა მზაობის დონეს), მოამზადეთ „ხარაჩოები“ და უკუკავშირის მონახაზი • მოსწავლეთა მზაობის სურათის გათვალისწინებით დაგეგმეთ მოსწავლეთა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული აქტივობა დიფერენცირებული დავალებების საშუალებით ან/და რემედიაციული სწავლება მოსწავლეთა მზაობის დამაკმაყოფილებელ დონემდე ამაღლებისთვის
ეტაპი III. კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო ახალი მასალის დამუშავება; კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა (მოსწავლეები მუშაობენ დავალებაზე მასწავლებლის ფასილიტაციით); სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება	**პირველადი აღქმა-დაკვირვება - კონკრეტული ცნების/ქვეცნების მაგალითზე დაკვირვება** - *რა შემიძლია ვთქვა ამ მაგალითზე დაკვირვების შედეგად? რით ხასიათდება?* **ხედვის გაღრმავება - მაგალითების და კონტრმაგალითების შედარება** - *რა საერთო აქვს „კი-მაგალითებს“? რით განსხვავდება „კი-მაგალითი“ „არა-მაგალითისგან“? რა არ აქვთ „არა-მაგალითებს“ ისეთი, რაც აქვთ „ კი-მაგალითებს“?* **განზოგადება** - ცნების/ქვეცნების არსებითი ნიშან-თვისების შესახებ დასკვნების გამოტანა და საჭიროებისამებრ, გადამოწმება *(ჩვენ მიერ დადგენილი მახასიათებლები არის თუ არა საერთო ყველა „კი-მაგალითისთვის?*	• შექმენით აქტივობანი, რომლებიც შესასწავლ ცნებებსა თუ პროცედურებზე დააფიქრებს მოსწავლეებს (მაგალითად, მსგავსებისა და განსხვავების პოვნის, ფაქტებისა და მოსაზრებების შედარება-შეპირისპირების, მონაცემების ორგანიზებისა და ანალიზის, კავშირების პოვნისა და მიმართების დამყარების და ა.შ.) • შექმენით აქტივობანი, რომლებიც შესასწავლი ცნებებისა და პროცედურების ღრმად და მრავალმხრივ გააზრებას შეუწყობს ხელს (მაგალითად, ვარაუდის გამოთქმისა და გადამოწმების, კანონზომიერების გარკვევისა და განვრცობის, მოდელის შედგენისა და კვლევის, დასკვნის გამოტანისა და მათი დასაბუთების/არგუმენტების მოყვანის, და და.შ.) • შექმენით აქტივობანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შეაჯამონ აგებული ცოდნა და მიღებული გამოცდილება, დაეხმარება მოსწავლეებს ჩამოაყალიბონ აგებული ცოდნა ზოგადი პრინციპების, წესებისა თუ არსებითი ნიშან-თვისებების სახით • შექმენით აქტივობანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს განიმტკიცონ ცოდნა და რომლებიც შესასწავლი ცნებებისა და პროცედურების გამოყენებას შეუწყობს ხელს, დაეხმარება კავშირი დაამყარონ ყოფა-ცხოვრებასთან და სხვა სასწავლო საგნებთან (შიდა ან/და გარე ტრანსფერი, ახლო ან/და შორეული ტრანსფერი) • დაგეგმეთ შესაფერისი აქტივობა, რომლის საშუალებითაც მოახდენთ სწავლისა და ათვისების შემოწმებას (ანუ შეაფასეთ,

	ტრანსფერი - *როგორ შევასრულო/გავაუმჯობესო კომპლექსური დავალება ისე, რომ იგი შესწავლილი ცნების/ქვეცნების "კი მაგალითად" გადაიქცეს?* **პრეზენტაცია** - *როგორ უნდა წარმოვადგინო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის შედეგები ისე, რომ ეს მსმენელებისთვის საინტერესო და გასაგები იყოს?*	რამდენად გააზრებულად ფლობენ მოსწავლეები ახალ ცოდნას). გაიაზრეთ მოსწავლეთა შესაძლო ტიპური შეცდომები, მოამზადეთ „ხარაჩოები" და უკუკავშირის მონახაზი • შექმენით მოკლე პრეზენტაცია, რომელშიც გააცნობთ მოსწავლეებს ნამუშევრის მოსწავლის ცოდნის შეფასების რუბრიკას და შესთავაზებთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეასრულონ კომპლექსური დავალება ან, დიფერენცირების საჭიროების შემთხვევაში, ამ დავალების მათთვის შესაფერისი (სტანდარტული, უფრო ხელმისაწვდომი ან უფრო გართულებული) ვარიანტი მათი მზაობის დონის მიხედვით. შესაძლებელია, აგრეთვე, მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცეს თავისუფალი არჩევანის საშუალება - შესთავაზოს თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება, დავალების რომელ ვარიანტს შეასრულებენ • ამავე ეტაპზე დასაშვებია ზოგიერთმა მოსწავლემ წარმოადგინოს არასრული ნამუშევარი - შესრულებული კომპლექსური დავალების რომელიმე ან რამდენიმე ცალკეული კომპონენტი, ხოლო მასწავლებელმა შეაფასოს მისი ცოდნა რუბრიკის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში შეფასებული მოსწავლე დავალების დასრულებულ ვერსიას წერილობითი ფორმით აბარებს მასწავლებელს დათქმულ ვადაში • დაგეგმეთ მოსწავლეთა მიერ ნაშრომების პრეზენტაცია, როდესაც ისინი საჯაროდ წარმოადგენენ ნამუშევარს შემოქმედებითი პროდუქტის სახით • დაგეგემეთ აქტივობა, როდესაც ყოველი მოსწავლის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ჩაატარებთ მოკლე გასაუბრებას/ინტერვიუს მის მიერ მიერ შესრულებული დავალების შესახებ და გაარკვევთ, მართლაც ამ მოსწავლემ შეასრულა თუ არა დამოუკიდებლად კომპლექსური დავალება, რამდენად ეფექტურად იყენებს ცოდნას დავალების შესრულებისთვის, რამდენად ღრმად და მრავალმხრივად აქვს გააზრებული შედეგები და შესაფერისად შერჩეული წარმოდგენის ხერხი • მოამზადეთ გეგმა, თუ რუბრიკის შესაბამისად როგორ შეაფასებთ

ეტაპი IV. კომპლექსური დავალების შესრულების შედეგად მიღებული ცოდნის გამეორება და განმტკიცება.	*რომელი შესწავლილი საკითხი/საკითხები გამომადგა კომპლექსური დავალების შესრულებაში?*	• სხვა თემატურ ერთეულზე გადასვლის შემდეგ მასწავლებელმა ახალი მასალის დამუშავების პარალელურად წინა ერთეულებში მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის გამეორება-განმტკიცებასაც უნდა შეუწყოს ხელი. ამისთვის მან მოსწავლეებს რეგულარულად უნდა შესთავაზოს აქტივობები, რომელიც ეხმიანება, ამდიდრებს და განავრცობს წინა თემატური ერთეულის ფარგლებში დამუშავებულ საკითხს/საკითხებსა და კომპლექსურ დავალებას.

ცხრილი 1. შემოქმედებითი პროდუქტების შესაძლო სახეობები

წერილობითი	**ვიზუალური**	**სმენითი**	**დამზადებული ან აგებული**	**კომბინირებული**
ესსე სტატია მოხსენება ინსტრუქცია და სხვა	დიაგრამა სქემა ნახაზი ნახატი გრაფი რუკა პლაკატი და სხვა	დისკუსია მოხსენება დებატი ინტერვიუ ვიქტორინა და სხვა	მოდელი კონსტრუქცია გამოფენა და სხვა	ვიდეომასალა დრამა ექსპერიმენტი აპლეტი პრეზენტაცია მულტიმედია საშუალებების გამოყენებით და სხვა